საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
საკითხთა კომისია

დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ. 27-54-63

№ 05-07/49
„31" იანვარი 2017წ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 76-ე და 77-ე მუხლების თანახმად, წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 93[1] მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავთ წინადადებით, რომ საკანონმდებლო ინიციატივის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განხილვა და მიღება მოხდეს გამარტივებული წესით- ერთი მოსმენით.

გთხოვთ, დაიწყოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურები.

დანართი: /7 ფურცელზე/

პატივისცემით,
კომისიის თავმჯდომარე /ვლადიმერ მგალობლიშვილი/

31.01.2017

09-01-08/12
31 01 2017
7

09-08-11/307
1 7
31 01 2017

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვის პროცედურის დაწყების
შესახებ

ოქმი 4

7 თებერვალი2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

დასახელება

განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია

ავტორი

განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია

ინიციატორი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

31.01.2017 წელი

შემოსვლის თარიღი

წამყვ. კომისია: 27,02,2017 წელი
სხვა კომისიები: 21,02,2017 წელი

საკომისიო მოსმენის ვადა

რიგგარეშე სესია

სხდომაზე განხილვის
საკარაუდო თარიღი

განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია; საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

კომისია რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:

უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

პროექტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №68, 14.12.2010, სარეგისტრაციო კოდი 040090000. 30.056.-016002) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის/ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისებაზე ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვაზე. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის/ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისება ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით;

გ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამების ფარგლებში ფიზიკური პირებისათვის შესყიდულ საქონელზე, აგრეთვე ერთჯერადი გამოყენების, სწრაფცვეთადი საგნების, ფარმაცევტული და კვების პროდუქტების (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში მისაქცევი ან მიქცეული ქონებისა) დარიგება-გადაცემაზე;

გ[1]) განათლებისა და კულტურის სფეროში განხორციელებული პროგრამების ფარგლებში ფიზიკური პირებისათვის შესყიდულ საქონელზე;

დ) სხვა ქვეყნის სახელმწიფო ორგანოსთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით ქონების გაგზავნა-გადაცემაზე, აგრეთვე საჩუქრის ან ჯილდოს სახით ქონების გადაცემაზე;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ სანერგე მეურნეობებში წარმოებულ ადგილობრივ და ინტროდუცირებულ ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების, სარგავი/სათესლე მასალის, ნაყოფისა და გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის განკარგვაზე;

ვ) ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული და დადგენილი წესით დამტკიცებული პროგრამების (ქვეპროგრამების) ფარგლებში შეძენილ ქონებაზე, რომელიც პროგრამის (ქვეპროგრამის) შესაბამისად ექვემდებარება ფიზიკური პირების ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის გადაცემას.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე
ბათუმი,
2017 წლის
№

პროექტი

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა)ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

რეგიონში, წლების განმავლობაში, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს ,,კონკურსებისა და ოლიმპიადების" ქვეპროგრამას, რომლის ფარგლებშიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისათვის ტარდება საგნობრივი ოლიმპიადა, (ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში), ლიტერატურული მარათონი, სახვითი ხელოვნების კონკურსი და დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის კოკურსი მათემატიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიასა და სამოქალაქო განათლებაში. სამინისტროს პირორიტეტია ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა, სასკოლო ცხოვრების სტიმულირება, სასწავლო პროცესის წახალისება. საპრიზო ადგილებზე გასულ საუკეთესო მოსწავლეებს სიგელებთან ერთად აჯილდოვებდა და დღემდე აგრძელებს მათთვის მხატვრული ლიტერატურისა და ფასიანი საჩუქრების გადაცემას, რისი სამართლებრივი რეგულაციაც უნდა წარმოებდეს კანონის შესაბამისად, მითუმეტეს, რომ ქვეპროგრამა გაწერილია სამინისტროს 2017 წლის მიზნობრივ პროგრამებსა და გრძელვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტში.

ქართული ხალხური რეწვის განვითარებას აჭარაში მდიდარი საუკუნოვანი ტრადიციები გააჩნია. ხელნაკეთი შემოქმედება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. მისი ყოველი დარგის - ქსოვა, კერამიკა, ხეზე კვეთა, საიუველირო ნაკეთობანი - ხელშეწყობის, ცოცხალი და მივიწყებული ტრადიციების რესურსის რეალიზების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით ხორციელდება „სოფლად მცხოვრები ტრადიციული რეწვის ოსტატების პროდუქციის განვითარების პროექტი". ტრადიციული რეწვის პროდუქციის შესაქმნელად კი სამინისტრო ოსტატებს გადასცემს სათანადო მასალას.

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული და დადგენილი წესით დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში შემენილ ქონებაზე, რომელიც მიზნობრივი პროგრამის შესაბამისად ფიზიკური პირების ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის გადაცემას ექვემდებარება - არეგულირებდა 2013 წლამდე მოქმედი აჭარის ავტონომიური კანონი ,,აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“, კანონში განხორციელებული ცვლილების შემდეგ, ზემოთ დასმული საკითხები დარჩა სამართლებრივი რეგულაციის მიღმა. კანონის მოქმედი რედაქცია მსგავს საკითხს არეგულირებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში. პროექტით გათვალისწინებული ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, მოხდება აღნიშნული საკითხის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა განათლებისა და კულტურის სფეროში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემური საკითხების გათვალისწინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში, რაც ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების განკარგვის პროცესში არსებული პრაქტიკული პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად ცვლილება შედის ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ'' - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში, სადაც განსაზღვრულია კანონის რგულირების სფერო და ჩამონათვალს ემატება შემდეგი შინაარსის ,,$გ^1$“ პუნქტი:

,,$გ^1$) **განათლებისა და კულტურის სფეროში განხორციელებული პროგრამების ფარგლებში ფიზიკური პირებისათვის შესყიდულ საქონელზე“.**

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტს მოსალოდნელი ფინანსური შედეგები არ გააჩნია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

არ არის მიმართებაში ევროკავშირის დირექტივებთან და არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

არ არის მიმართებაში საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია.

იმ მუხლის მოქმედი რედაქცია, რომელშიც შედის ცვლილება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10' მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის/ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისებაზე ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვაზე. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის/ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისება ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით;

გ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამების ფარგლებში ფიზიკური პირებისათვის შესყიდულ საქონელზე, აგრეთვე ერთჯერადი გამოყენების, სწრაფცვეთადი საგნების, ფარმაცევტული და კვების პროდუქტების (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში მისაქცევი ან მიქცეული ქონებისა) დარიგება-გადაცემაზე;

დ) სხვა ქვეყნის სახელმწიფო ორგანოსთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით ქონების გაგზავნა-გადაცემაზე, აგრეთვე საჩუქრის ან ჯილდოს სახით ქონების გადაცემაზე;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ სანერგე მეურნეობებში წარმოებულ ადგილობრივ და ინტროდუცირებულ ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების, სარგავი/სათესლე მასალის, ნაყოფისა და გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის განკარგვაზე;

ვ) ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული და დადგენილი წესით დამტკიცებული პროგრამების (ქვეპროგრამების) ფარგლებში შეძენილ ქონებაზე, რომელიც პროგრამის (ქვეპროგრამის) შესაბამისად ექვემდებარება ფიზიკური პირების ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის გადაცემას.

ამონაწერი

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის საკითხთა კომისიის სხდომის

№-7 ო ქ მ ი დ ა ნ

30 იანვარი, 2017 წელი

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე - განხილვა.

მომხსენებელი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
ვლადიმერ მგალობლიშვილი

მოსმენის შედეგი: უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების დასაწყებად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად ერთხმად დაუჭირეს მხარი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე - გადაგზავნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტისათვის. (მომხრე -4, წინააღმდეგი - 0).

განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /ვლადიმერ მგალობლიშვილი/

საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის ინფორმაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვის და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვის და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (09-01-08/12, 31.01.2017 წ.)

(ინიციატორი: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია) საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში დარეგისტრირდა 2017 წლის 31 იანვარს.

უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2017 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით დაიწყო განხილვის პროცედურა ინიციატივაზე, წამყვან კომისიად განისაზღვრა საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია, ხოლო საკომისიო განხილვის ვადად 27,02,2017 წელი.

წამყვანი კომისიის, სხვა კომისიებისა და აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დასკვნები უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში შემოვიდა ბიუროს გადაწყვეტილებით დადგენილი ვადების დაცვით.

უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2017 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით საკითხი შევიდა უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველად.

ინიციატივა პლენარულ სხდომაზე წარდგენილია რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული საპროცედურო მოთხოვნების შესაბამისად.

დეპარტამენტის უფროსი: /გიორგი ბერიძე/

6.03..2017 წელი